ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდველისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგიმყენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 14 1883—1898 30 ივლისი.

გაზეთის ფასი:

„მწყემსი“		„მწყემსი“ რუსული გამოცემით	
12 თვეით . . .	3 მან.	12 თვეით . . .	5 მან.
6 — . . .	2 —	6 — . . .	3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ აღრეესით:
Въ Квитцы, въ редакцію „Мукемси“ и „Пастырь“.

Ყველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავად გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, ს

ლი თავისი არსებობის დროს, თითქმის, არაფერი შესაშინელი სარგებლობა არ მოუტანია ხალხისათვისო და თუ მოიტანა რაიმე სარგებლობა, ეს სარგებლობაც ისე მცირე და შეუნშნავია, რომ მასზე ლაპარაკი არც კი ღირსო.

ჩვენ აქ არ გამოუდგებით ამ ორი სრულიად ერთი ერთმანერთის წინააღმდეგი მოსაზრების კრიტიკულად გარჩევას, მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სარწმუნოებრივი-ზნეობრივი და გონებრივი მდგომარეობა ჩვენი წერა-კითხვის მცოდნე და უცოდინარი მდგომი ხალხისა ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია. თუმცა დღითი დღე მატულობს სოფლის სკოლების რიცხვი, მაგრამ სარწმუნოების მხრით ვერავითარ გაუმჯობესობას ვერ ვამჩნევთ ხალხში. ხალხმა თითქმის არ იცის სარწმუნოების პირველი დაწყებითი დოდმატები. სახალხო სკოლები უმთავრესად იმიტომ არიან დაარსებულნი, რომ მათ გაანათლონ, აღზარდონ და აღამაღლონ სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ცხოვრება ხალხისა და მოსპონ სხვა-და სხვა ამაოდ მორწმუნეობა, რომელსაც მტკიცედ აქვს ფესვი გადგმული გაუნათლებელს ხალხში, განათლების მეოხებით ეს ამაოდ მორწმუნეობანი ისე უნდა მოსპონ ხალხში, როგორც მზის ამოსვლისათანავე ნელ-ნელა თხელდება და შემდგ მთლად ჭქრება სქელი ნისლი.

თუ ჩვენ სახალხო სკოლებს არ გაუმართლებია თავისი დიდი მოვალეობა, სჩანს რომ ეს სკოლები ვერ აღწევენ თავიანთ მიზნის და ამ საქმეში უფრო თვითონ არიან დამნაშავენი.

გბედავთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმეტესი ნაწილი სოფლის სახალხო სკოლებისა თავის მიზნად რაკიდა და დღესაც თავის პირდაპირ მოვალეობად ის მიიჩნია, რომ, რაც შეიძლება, მალე გავრცელოს წერა-კითხვის ცოდნა გაუნათლებელ ხალხში და ბევრის შვილებს მისცეს პირველ დაწყებითი სწავლა. ბევრი ამტკიცებს, რომ ჩვენი სოფლის სახალხო სკოლა აჩვენებს ჩვენს ხალხს უბრალო წერა-კითხვას. გაუნათლებელი მამები როგორც კი დაინახავენ, რომ მათი შვილები ცოტაოდნად კითხულობენ, წერენ და ცოტა ანგარიშიც უსწავლიათ, მაშინვე გამოჰყავთ შვილები სკოლიდან, გაუნათლებელი მასწავლებლებიც წინააღმდეგობას არ უწევენ შშობლებს და მათთაც საკმაოდ მიაჩნიათ, თუ მოწაფეებმა ცოტა-ოდენი წერა-კითხვა და პროგრამაში მოხსენებული საგნებიც გაკერით შეისწავლეს და სრულებით არ დაეძებენ თავიანთ მოწაფეთა რიგიანად აღრზდას. სწორეთ ასეთი სწავლებაა მიზეზი, რომ დღემდე ძლიერ ნაკლები ზედგაევლენა აქვს სკოლას დაბალი ხალხის სარწმუნოებრივ-ზნეობრივ ცხოვრებაზე და გონებით განვითარებაზე. ცხადია, რომ მარტო წერა-კითხვის შესწავლას ძლიერ ნაკლები ნაყოფი მოაქვს. მარტო წერა-კითხვის შესწავლა გონებით ბიჯს ვერ წაგვადგმევინებს წინ. თუ წერა-კითხვა იმდენად არა აქვს ყმაწვილს შესწავლილი, რომ პატარა წიგნებიც არ წაიკითხა, მაშინ წერა-კითხვაც მალე აეიწყდება. და თუ წერა-კითხვა დიდ ხანს გაპყეა და საქმეზე მოიხმარა, თუ წერა-კითხვის მცოდნე შეუდგა წიგნების კითხვას, მაგრამ მას არა აქვს მიღებული რიგიანი გონებრივ-ზნეობიერი განათლება, მაშინ იგი, რა წიგნიც უნდა მოხვდეს ხელში, ყველას წაიკითხავს. ამ სახით იგი მთელ დროს სულ უბრალოდ და უსარგებლო შინაარსის წიგნებს მოანდომებს. და ასეთი შინაარსის წიგნები ხომ ბლომად მოიპოვება ხალხში, საამწუხაროდ. ასეთი მკითხველები, რომელთა რიცხვი სოფლებში მდაბალ ხალხთა შორის კარგა ბლომადაა, თითქმის სოფლებით არ განირჩევიან წერა-კითხვის უცოდინარ პირთაგან და ასეთი კითხვაც მათ ნაცვლად სარგებლობისა დიდ ვნებას აძლევს. ხშირად ასე მკირედ წერა-კითხვის მცოდნე პირნი თავს იჩენენ მკითხაობით. ზოგნი თავიანთი მცირე ცოდნით დიდ საქმეებს ჩადიან დაბალ ხალხში. ისინი არიან საქმის გამრჩევი და გადამწყვეტნი, ესეოვე პირნი ექიმობასაც უწევენ ხალხს; ამ სახით მათ პირველი ადგილი უკავიათ მდაბალ ხალხში; ასეთი პირნი განაგებენ ამ ხალხის გონებრივ და ზნეობრივ ცხოვრებას და უარსა ჰყოფენ ეხლანდელი დროის განათლების სარგებლობას.

მარტო წერა-კითხვის ცოტაოდნად შესწავლა და ცოდნის სხვა-და-სხვა დარგებთან ზეტე-ქვეყრედ გაცნობა დიდ სარგებლობას ვერ მოუტანს კაცობრობას. ის კაცი, რომელმაც სკოლაში შეიძინა მრავალი პირველ დაწყებითი ცნობები, მაგრამ რიგიანად და გაგებით კი ვერ შეეთვისა ისინი, გაუნათლებელი რჩება, მას არ შეუძლია სკოლაში მის მიერ შესწავლილი ცოდნა ცხადათ და გარკვევით წარმოიდგინოს და საქმეში გამოიყენოს. ამ გვარი ცოდნა მისთვის არის გამოუსადეგი განძი, რომლითაც ვერც თვითონ სარგებლობს და ვერც რაიმე

Digitized by Google

სარგებლობას თავის მოძმეს აძლევს.

ჩვენ ამით სრულებით იმის თქმა არ გვინდა, რომ წერა-კითხვის შესწავლა და სოფლის სახალხო სკოლები სასარგებლონი არ იყვნენ ხალხისთვის. ამისთანა აზრისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, მხოლოდ ჩვენ ის გვინდა ეთქვათ, რომ სოფლის სახალხო სკოლებში წერა-კითხვის და სწავლის გავრცელებასთან ერთად უნდა სწარმოებდეს შეგნებული აღზრდა, რომ სოფლის სახალხო სკოლების მასწავლებელნი თავიანთი მოვალეობის დროს უნდა მოქმედებდნენ არა მარტო ისე, როგორც მასწავლებელნი, არამედ როგორც ხელმძღვანელნი და აღმზრდელნი ბავშთა. მდაბიო ხალხს თავისი შვილი სოფლის სკოლის გარდა სხვაგან აღარსად მიჰყავს სწავლის გასავრცელებლად. მდაბიო ხალხს არც ღონე აქვს და არც შეძლება, რომ თავის შვილს შესაფერი შინაური განათლება მისცეს. ამიტომ იგი სრულიად დაიმედებულია სოფლის სკოლაზე და იმისგან მოელის ყოველივე სიკეთეს მისი შვილის მომავლისათვის. აქედან ცხადია, რომ სოფლის სკოლა ერთის მხრით არის ერთად ერთი სასწავლებელი გლეხთათვის, ხოლო მეორეს მხრით ესეეს სკოლაა გამავრცელებელი ხალხში განათლებისა და აღზრდისა. ამიტომ უნდა ვისურვოთ, რომ სახალხო სკოლა სწავლებასთან ერთად იყოს აღმზრდელი ახალი მოზარდე თაობისა, რომ ამ სკოლამ გონებითად და ზნეობითად აღამაღლოს თვით მდაბიო ხალხიც,—აქედან ცხადია ისიც, რომ მასწავლებელნი სახალხო სკოლებისა უნდა აძლევდნენ მოსწავლეთა, შეძლებისადაგვარად, კანონიერ და სამედო განათლებას, რათა აღძრან, განავითარონ და მიმართონ მათი სულიერნი ძალანი კეთილისადმი და საზოგადოდ იყვნენ როგორც მასწავლებელნი, ისე აღმზრდელნი. ჩვენი აზრი პოულობს განხორციელებას კანონმდებლობითი დადგენილებასა შინა საეკლესიო-სამრეველო და წერა-კითხვის სკოლების დაარსების და გავრცელების შესახებ. ამ კანონმდებლობის აზრით უმთავრესი მიზანი სახალხო სკოლებისა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ამ სკოლამ ხალხში განამტკიცოს მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოების სწავლა, ქრისტიანული ზნეობა და პირველი დაწყებითი სასარგებლო ცოდნა, ხოლო უმთავრესი დანიშნულება ამ სკოლებისა იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეთ მისცეს სარწმუნოებრივ-ზნეობრივი განათლება. სახალხო სკოლების მასწავლებელთ თანახმად საყვარელი ხელმწიფეს, სურვილისა ეკლესიის მწყემსებთან ერთად, ეროვნული შრომით და საკუთარი ცხოვრების კეთილი მაგალითით უნდა ჩაენერგონ ბავშვებში შიში ღვთისა, გარდასცენ ყრმათა სწავლა სარწმუნოებაზე, დანერგონ მათ გულში სიყვარული წმიდა ეკლესიისა, მეფისა და სამშობლოისა. ერთი სიტყვით სახალხო სკოლები უნდა შეიქნენ ეკუმშარიტი გამავრცელებელნი ქრისტეს სწავლა-მოძღვრებისა. მასწავლებლობის ადგილები სკოლებში უნდა მიეცესთ იმ პირთა, რომელთაც შესწავლილი აქვსთ დიდაკტიკის და პედაგოგიკის კურსები და პრაკტიკულად შეთვისებული აქვსთ სწავლა-აღზრდის საუკეთესო პედაგოგიური წესი-რიგი. სახალხო სკოლების მასწავლებლებმა უნდა მოაჭიანონ ხალხში განათლება და ამიტომ მათ სასურველი ზედგავლენა უნდა იქონინონ თავიანთ მოსწავლეებზე. ეხლა იმადება კითხვა: როგორ, რა შემთხვევაში და რა პირობებში შეუძლიათ სოფლის სახალხო სკოლების მასწავლებელთ სასურველი ზედგავლენა იქონინონ მოსწავლეებზე?

ყოველ მასწავლებელს ბავშვებისას შეუძლია და ვალდებულიაა, რომ კეთილი ზედგავლენა იქონიოს თავის მოწაფეებზე სათავეშივე, როცა მათ პირველ-დაწყებითს სწავლებას შეუდგება. სწავლება უბრალო დროს გატარება კიარაა მასწავლებელსა და მოწაფეთა შორის. სწავლება არის ერთობა მასწავლებელსა და გამოუცდელ ბავშთა შორის, რომ ამ ერთობის შემწეობით მასწავლებელმა ყმაწვილებს ვადასცეს და შეასწავლოს საჭირო ცოდნა და გონებითად აღამაღლოს იგინი. როდის შეუძლია სწავლებას, რომ ასეთი ზედგავლენა იქონიოს მოსწავლეზე? მხოლოდ მაშინ, როცა სწავლება სწარმობს საუკეთესო უკვე გამოცდილ და ნაყოფიერ მეთოდით. მეტოდი არის სული სწავლებისა. მეტოდი აძლევს სწავლებას ერთიანობას, წესიერებას, სიცხოველეს და მიზნიდ�ობას. ვინაიდგან მეტოდს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ სახალხო სკოლების მასწავლებელთ სწავლების დროს უნდა უარჰყონ ძველი მეხანაკური მეტოდი სწავლებისა. როდესაც მასწავლებელნი მეხანაკურად აზეპირებენენებენ მოსწავლეთ მთელ სტატიებს და სხვა და სხვა საგნებს, ნორჩ მოსწავლეთა გონება ამით კი არ იხსნება, პირიქით ჩლუნგდება. ასეთი სწავლება მარტო ენას და ხსოვნას უვარჯიშებს მოსწავლეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსარგებლოა აგრეთვე სწავლების ის წესიც, რომელი წესითაც მოსწავლენი ჯარისკაცებივით არიან გაქცავებულნი და ისმენენ მხოლოდ მას, რასაც მასწავლებელი ეუბნება მათ. ასეთი სწავლების დროს მოსწავლენი, მართალია, ითვისებენ რამოდენიმე სიტყვას მასწავლებლისას, მაგრამ უაზროდ და გაუგებლად. ყველა მეტოდებზე საუკეთესოა კატეხეტიური მეტოდი, ე. ი. როდესაც მასწავლებელი კითხვებს აძლევს მოსწავლეთ და ეს უკანასკნელნი მასწავლებლის თითოეულ კითხვაზე იძლევიან შესაფერ პასუხს. ამ მეტოდის მიხედვით მასწავლებელი კითხავს მოსწავლეს რომელიმე საგანზე, და მოსწავლის სხვა და სხვა კითხვა-მიგების საშუალებით რიგიანად და შეგნებულად ირკვევა ხსენებული საგანი. ექვი არ არის, რომ ხსენებული მეტოდი ითხოვს, რომ ერთის მხრით მოსწავლენი წინდაწინეე ცოტა გაკარჯიშებულნი იყვნენ, ხოლო მასწავლებლისაგან ასეთი წესი სწავლებისა ითხოვს მოამზადებას. ამ წესით მოსწავლენი, თითქო, თავის თავად ტყობილობენ იმას, რაც მასწავლებელს უნდა აეხსნა მათთვის. ასეთი სწავლების დროს მოსწავლენი უფიქრდებიან საგანს, მათში იღვიძებს ცნობის მოყვარეობა და მასთან ერთვიან თავისუფალ გონებითს ვარჯიშობას და ამ სახით შეთვისებული ცოდნა უფრო მტკიცედ ინერგება ბავშვის გულსა და გონებაში. სწავლების დროს აგრეთვე შეიძლება ვიხმაროთ დაკვირვებითი მეტოდიც. ამ მეტოდით მოსწავლემ თავის თავად უნდა გამოიცნოს ის, რაც მასწავლებელს უნდა აეხსნა მისთვის რომელიმე საგნის შესახებ. ამ გვარი სწავლებით, რომელიც დამოკიდებულია სასწავლო საგნის ვითარებაზე და მოსწავლეთა განსაკუთრებით ნიჭსა და მიზიდულობაზე, ყმაწვილი ეჩვევა თვითმოქმედებას, მეცადინეობის დროს, მუყაითობას და აგრეთვე მას უმტკიცდება ხასიათი, ერთი სიტყვით ყმაწვილში იბადება სურვილი თავისი თავის განვითარებისა. ხსენებული მეტოდები ანვითარებენ და აძლიერებენ მოსწავლეთა გულში სიყვარულს სწავლისადმი და განათლების საქიროებას.

შემდეგი იქნება.



საეკლესიო სიძველეთ-საცავი

(15 ივლისი 1888 წ.—15 ივლისი 1889 წ.)

დდეს, 15 ივლისს, შესრულდა ათი წელიწადი საეკლესიო სიძველეთ საცავის დაარსებიდგან. სიძველეთ საცავის კუთვნილებას შეადგენს 271 ხელნაწერი, რომელთაგან ტუკვზედ ნაწერია 65 წიგნი და მათ შორის საერთოდ არის სულ 16,336 ფურცელი. ის ტუკვზედ ნაწერი წიგნები ეკუთვნის მე XII—XIII საუკუნეთ, ხოლო ქადაგდზედ ნაწერებ—მე-XII—XVIII ს. 60-მდის ხელ-ნაწერი, უკვე ჩვენ მიერ განხ-ლული, თარგნილია წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ. ადგილი, სადაც ეს ხელნაწერები გადაწერილია, არის ათონი, ოშიზა, გარეჯა, გელათი, მცხეთა, ტფილისი, ბანა, შემოქმედი, გრეში და სხ.

სიგელ-გუჯართა რიცხვი არის სულ 933, მათგან 860 ქართველია, 56 სპარსული და 8 ბერძნული. ქართულ სიგელ-გუჯართა შორის არის 24 ცალი ტუკვზედ ნაწერი ფრიად ძველის დროისა.

შესანიშნავ ნივთთა შორის საყურადღებოა კიდევ რამდენიმე ფული თამარ-მეფისა, ფილონები, ჯვრები, დდ-ანი (რკინის გარდასაცმელი მთნაზონთათვის), რკინის ქალამნები, ეჩმიაძინის ტაძრის ნახშ ანუ ნიმუში და სხ. და სხ.

სიძველეთ-საცავი ღია კვ-რაობით 11 საათიდგან 1 საათამდის, ხოლო დდეს, ათის წლის შესრულების გამო დაარსებიდგან, ღია იქნება 10 საათიდგან. «ივერია»

—

ხსენებულ სიძველეთ-საცავთან დაარსებულია ფვთის-მშობლის სახელობაზე ძმობა, რომლის დაარსების დდე დდის ამბით იდდესასწაულეს. აგერ ათ. წელიწადია, რაც ეს ძმობა არსებობს და სასიამოვნო იქნება, რომ ჩვენს საზოგადოებას შეატყობინონ ამ ძმობის ათი წლის მოდვაწეობის შედეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპედაგოგიო კურსები სამეგრელოში

ს. მარტვილში 4 ივლისს თავი მოიყარა გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მასწავლებლებმა, მეორე დღეს დაესწრნენ მარტვილის მონასტერში მდვდელ-მთავრის წირვას და ამ დღეს სამრევლო სკოლის მასწავლებელნი და აგრეთვე მათთვის ს განგები მასწავლებელნიც მოგროვდნენ, ჩამოვიდნენ აგრეთვე ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველი ბ-ნი თ. ქორდანია, სენაკის და ოზურგეთის მაზრის მეთვალყურენი, ბლადიმინი მდვდელი კაპიტონ გაწერელია და მდვდელი სოლომონ ანდდელაძე, მდვდელი იოანნე ბობოხიძე, სტეფანე ძიმისტარიშვილი, ტროფიმე ჯოხთაბერიძე, ფ. ქორიძე და ა. ბენაშვილი. 6 ივლისს, დილით შემდეგ ლიტურგიის შესრულებისა, სწავლის წინ დასაწყისი პარაკლისი გადაიხადა კათედრის და მონასტრის კრებულთა თანამსახურებით, სენაკის მაზრის სამრევლო სკოლების მ თვალყურე ბლადიმერიანმა მდ. კაპიტონ გაწერელი მ, შემდეგ ლიტონიით გაემგზავრენ ოქმა სამეგალითო სამრევლო ორ-კლასიან სკოლის შენობაში და აიაზმა ასხურეს სკოლის და მის მასწავლებელთა საგდგომებს, ყველა დამსწრენი აიაზმის სხურებით ჯვარს ემთხვევნენ. ამ დროს ყოველად სამდვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე მობრძანდა სკოლაში. შემობრძანების დროს მასწავლებლებმა იგალობეს „მეუფეო ზეცათაო“ და „ისპოლეს». ყოველად სამდვდელომ საერთო შეკრება მიეღოცა ყველას, ადუთქვა მონასტრიდგან შეძღებისამებრ ყველას დახმარება და შემწეობა, ოღონდ კი იბეჯითონ მასწავლებლობაში. თუ ვინმეს ბინა გეჭირვება, ბრძანა ყოველად სამდვდელომ, შემიძლია ერთი ვერსის მანძილზე ბარების მონასტრის საწინამძღვრო სადგომი სახლიც გათხოვოთო, მერე განუკარტა მასწავლებელთ ძნიშვნელობა ამ საპედაგოგიო კურსებისა. შემდეგ აკურთხა ისინი და წაბრძანდა თავის ბინაზე.

მას შემდეგ ეპარხიის მეთვალყურე ბ. თ. ქორდანიამ წაუკითხა ყველას ამ კურსების განმვლობაში წესდება თუ ვთქრა რიგ-რიგობით მოუქცენ ისინი, თანვე მიმართა ყველას გრძნობით ადსავსე სიტყვით, დაარიგა ყველა ისინი და დაუსურათხატა ძნიშვნელოვანი მათნი მომავალში, თუ რა რიგ წაიყვანონ ახალ მოზიდთა სწავლისა და ზნეობის განვითარების საქმე.

ამ დღეს პირველი გაკვეთილი მ სწავლებლებს მისცა ბ. ა. ბენაშვილმა რუსულ გალობისა და მეორე ბ. ქორ ძმ ქართულისა.

შვიდს ამ თვიდან კი იწყება წესდებისამებრ სწავლა შეადგენენ ოთხი გაკვეთილის და ნაშუადღევს ს.მი გაკვეთილისა. მასწავლებლები დაბინავდნენ სამოსასტრო და სამრევლო სკოლის მასწავლებელთა ს.ადგომ-სახლებში, რომლებიც მათ დაეთმოთ მუქთად და ზეგიც სკოლის მახლობლად სოფელში მოსახლე კაცებისას შეადგინან შენახვა და მოვლა ცხოვრებით.

რაც შესაძლებელი, საზოგადოება მარტვილისა მზათ არის ამ კურსების დროს ყველას ხელი შეუწყონ, რადგან გულში უდგვიან სიხარული, ვინაიდგან დდეს ისინი ხედვენ მარტვილში მათზე უარადდების მიპერობასა საზოგადოებრივ კურსების დაარსებით.

თეორიულ ლექციების და სანიმუშო სამაგალითო გაკვეთილების მისაცემად ამ კურსებზე დანიშნულნი არიან სამეურნეო სკოლის მასწავლებელნიც ბბ. ნ. მაკურნალი, ი. ქუთათელაძე და ს. მალარაძე, რომელთათვისაც აქ კურსებზე დამზადებულია ამ საქმისათვის საჭირო მასალები —მეფეტკრეობ-სა, მეაბრეშუმეობისა, მევენახეობისა და ბაღისნობ-სა.

ამ რტვილი, როგორც შესანიშნავი ჰავით ისე სანოვაგის სიადვით, სწორედ შეს ფერად იქმნა ადგრეული მთავრობისაგან საზოგადოებრივ კურსებისათვის. „ცნ. ფურ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲕᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲤᲝᲗᲘᲗᲐᲜ.

უმართებელესი სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში ამას წინეთ განხილულ იქმნა დავა გურიის მთავრთა შემკვიდრეების თავად გურიელებისა ქალაქ ფოთთან მიწის ნაკვეთზე, სიგრცით 25 ოთხკუთ ვერსისა. ეს მამული ფლებრობს ქ. ფოთის ახლოს. თავად გურიელების მხრით საქმეს იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე მ.მ. ვინაგერი, ხოლო ქ. ფოთის მხრით ნაფიცი ვექილი ბ. ვ. მაკალინსკი.

1836 წელს 31 მარტს სამეგრელოს მფლობელმა თავადმა დადიანმა ქალაქი მიირთვა საქართველოს მთავარ-მართებელს ბარონს როზენს. ამ ქალაქში თავადი გურიელი სურვილს აცხადებდა, რომ იგი მზად არის რუსეთის მთავრობას ფოთის ნავთ-სადგურის საჭიროებისათვის აზუქის მიწა, მდებარე ფოთიდან სამხრეთით. შავი ზღვის პირად. ფოთის ნავთ სადგურის გაკეთება დაბოლოებით გადწყვეტილ იქმნა მხოლოდ 1857 წელში, და ამავე წელს შეუდგენ თავად დადიანის მიერ შეწირული მიწების გამიჯვნას. მაგრამ ამ მიწებზე დავა განცხადეს გურიის მფლობელებმა, რომელნაც ამტკიცებდენ, რომ ხსენებული ადგილები ეოველთვის მათს შეურეველს საკუთრებას შეადგენდა, და თუ სამეგრელოს თავადმა ეს მიწება აზუქა რუსეთის მთავრობას, ამ ქმთხვევაში იგი შეხებია გურიის სამთავროის საკუთრებას, რომელიც იმას არას დროს არ კუთვნებია. როგორც კეთილ სინდისიანებმა ისე გამიჯვნის დროს დამსწრე სამეგრელოის მფლობელის მამულების გამგემ დაამოწმეს გურიის თავადების განცხადება.

ქუთაისის ოლქის სასამართლომ საქმე გადასწყვიტა თავად გურიელების სასარგებლოდ, მაგრამ ტფილისის სამსაჯულო პალატამ გაუქმა ეს გადაწყვეტილება, ვინაიდგან მომჩივნებმა თავისი დიდი ხნის მფლობელობა ამ მიწებზე ვერ დაამტკიცეს. შემდეგ საქმე გადავიდა სენატში, რომელმაც დაინახა, რომ პალატა უკანონოდ მოქცეულა, რომ თავად გურიელების თხოვნით სხდომა არ გადუდგია შემდეგ დროისთვის. ამიტომ სენატმა დადგინა: დადგენილობა ტფილისის სამსაჯულო პალატისა გაუქმებულ იქმნეს და საქმე გადაეცეს ხელახლად გასარჩევად იმავე პალატის მეორე დეპარტამენტს.

ამ სახით გურიის მფლობელ თავად გურიელებს ხელახლად ეძლევათ უფლება ამიერგან თავიანთი უწინდელი სამფლობელოის ნაწილები და დაამტკიცონ, რომ მათმა მეზობელმა სამეგრელოს მფლობელმა დადიანმა, მართალია, ღირებული საზუქარი უმღვნა რუსეთის მთავრობას, მაგრამ არა თავისი საკუთრებიდან, არამედ სხვისი საკუთრებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახის კერა

მამა კაცი და დედაკაცი.

III.

ჯაბუა ეკლესიაში.

(რუსულიდან)

გაგრძელება *).

3. ყველა ახალგაზდა თავის მოვალეობად უნდა სთვლიდეს ეკკლესიურ საქმეებში მონაწილეობის მიღებას, რამდენათაც ძალ-ღონე შეაწევს. მაგალითად, მას შეუძლია ღვთის-მსახურების დროს იგალოობის სამგალობელზე, ან მნათეს თანაშემწეობა იკისროს და ეკკლესიაში შემოწერილოება აგროვოს, ან საკ-ვირაო სკოლაში იმეცადინოს, ბავშვების თამაშობას თვალ-ყური ადევნოს; ან ღარიბთათვის დაარსებულ შემწახველ-გამსესხებელი კასსის მდივნობა იკისროს, მოსწავლეებს რაიმე ხელობა ასწავლოს, ან სახალხო საკითხავების გამართვას დაეხმაროს, სკოლის დაარ-სებაზე იზრუნოს. დასასრულ სნეულებსა და ღარიბებს ემსახუროს და ან სხვა ამ გვარი საქველ-მოქ-მედო საქმე აკეთოს. ამ გვარი მოქმედება სხვასაც მიიზიდავს უანგარო სამსახურისადმი, ჩაუნერგავს გულ-ლის სიღრმეში, რომ ღარიბთა, სნეულთა, უვიცთა და მოზარდთადმი დახმარება სალმრთო ვალია ყველა კეთილი ადამიანისათვის, და არა მარტო მდიდრ-ბისათვის. უგულურება იქნება, რომ ჩვენი ზნეობრივი მოვალეობის ასრულება მოყვასთადმი სხვას მი-ვანდოთ. ეს საერთო საქმეა მთელი ეკკლესიისათვის და ყველა ახალ-გაზდები, როგორც წევრნი ეკკლე-სიისა, ვალდებულნი არიან ამ შრომას ეწიონ. ადრე შეგმენენ ყოველ ისეთ საქმეში, რომელიც თავდა-დებას თხოულობს, პირად სიამოვნებასაც, არა თუ მარტო მძიმე ულელს. ამიტომ არც ერთ ისეთ საქ-მეს, რომელსაც მოაქმის სასარგებლოდ ვასრულებთ, ისე არ უნდა უყურებდეთ, როგორც უმნიშვნელოს, ცოტა ღირსებიანს, არამედ როგორც დიდებისა და სახელის მომხეელ წყაროს.

4. როგორც წინა წერილებში, ისე ამაც მო-ვიყვანთ ორიოდე წინააღმდეგ მაგალითებს.

I. მე დაგისახელებთ მრავალთაგან ერთს ახალ-გაზდას მაგალითად იმისა, რომ ვინც „მეძავი შვი-ლისებურად» სულით ეცემიან, თუ დროიანად გონს არ მოვიდენ, არ გამობრუნდენ, უდროოდ ისპობენ სიცოცხლეს. სოაკარი მოვლენაა ბორტების ის-ტორიაში ის გულ გრილობა, რომლითაც ეგებებიან ახალ-გაზდები თავიანთი მეგობრების გარყვნილ მოქ-მედებათა შედეგს. ეს გარემოება ერთ ზეპირ-გად-მოცემის შინაარს მოგვაგონებს, რომელსაც მახმადი-ანები ქრისტეს აკუთვნებენ. „ერთხელ იესომ თქვა, რომ ქვეყნიერება ემზგავსება იმ მატყუარ და გარ-ყვნილ დედაკაცს, რომელმაც, როდესაც კითხეს, რამდენი ქმარი გყავდაო, ასე უპასუხა: «დათვლაკ კი შეუძლებელიაო, ერთი მეორეზე უსპობდი სი-ცოცხლეს და ვიგზავნედი საიქიოსო». სოაკარიაო, მიუგო ამაზედ იესომ, რად იყენენ დანარჩენენი ... დენად უგულურნი, რომ ხედვიდენ პირვანდელი ქმრებსა ასეთ თავგადასავალს, მაინც არ გერიდებო-დენ, მაინც კაცის მკვლელის სიყვარულით იყენენ გატაცებულნიო“.

იმ ახალ-გაზდას, რომელზედაც მე მოგახსენებთ, ყველა იცნობს. თუმც მკვდარია ახლა, მაგრამ სა-ხელდობრ მაინც არ ვასახელებ, ვინაიდგან იმიტომ კი არ მომყავს მაგალითად, რომ ჩრქე მოვსცხო, არამედ იმისი მაგალითით სხვა გაფრთხილდეს. მე-ტის მეტი ნიჭიერი იყო, და ბეერსაც მოელოდენ მისგან. მდედლის ერთა ვაკი იყო, მშვენიერი და გონებით გამჭრიახი. სიყმაწვილეშივე მოჰყვა, საიდა-ნაც იყო თვალთ მაქცი დედა-კაცის ბადეს, იმ გახარწნილი სურვილისა გამო, რომელსაც ბეერნი ვერ გაურბიან. წინედ ბერძნებს სწამდათ ერთი ახი-რებული თქმულება «ვინც უყურებს და მისდეს სირენს *) სიმღერას, ძვლებიანთესილი კუნძულის ახლოს დაიღუპვის ღელვის დროსო“.

იგინივე იტყოდენ, რომ თილისმური თასი ჯადო ქალი-ცირკეისა, მისი «უცხო სასმელი ბროლის ჭურჭელში»,—ის სირჩა იყო, რომელსაც ის ძალა ჰქონდა, რომ ფერს უცვლიდა მსმელს, საზიზღარ მხეცს ამზგავსებდა, პირის სახეზედ გონიერების ბე-ჭედს უზოოდა».

(* იხილე „მწყემსი“ № 12, 1898 წ.

*) ქალ-თევზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი იმ ᲛᲐᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐᲖᲔ ᲛᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲘ ᲛᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად ხედვიდა, რომ თუმცა ქრისტიანობა ბევრგან ანათებდა დედა-მიწის ზურგს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ადგილები იყვენ სიბნელით მოცულნი, ჯერ კიდევ ურიცხვი ხალხი იყო ჩაფლული უკუნ-წყვდიადში, და ეს ფიქრი ძალიან აწუხებდა. თითქოს ცრემლები მოადგებოდნენ თვალებზედ, როდესაც ის თავის ღარიბ მოწყალეებს რუქაზედ იმ ადგილებს უჩვენებდა, რომლებსაც კერპთ-თაყვანის მცემლები აბნელებდენ. ცოტა ხნის შემდეგ ამ აზრით გატაცებულმა შვადგინა პატარა საზოგადოება, გახდა მისი მღვდელი, და ღრმად არწმუნებდა მის წევრებს, რომ უთუოდ უნდა მოვაქრისტიანოთ კერპთ-თაყვანის მცემლებია. „მამაო, ეტყოდა ხოლმე მისი უფროსი, თუ ღმერთს ნებავს მორჯულება ქვეყნისა, უშენოდაც შესძლებს, შენ შენთვის იყავი“. ამის შემდეგ ეკლესიებში ავრცელებდა ამ აზრს და ბევრი შემოწირულებაც მოაგროვა. ბევრნი კიდევაც დასცინოდენ, როდესაც ფულებს აგროვებდა, მაგრამ სწორედ ამ მეზღაპე შეჰქმნა მეზღაპეთა გუნდი, რომელსაც წელად ხვდა ქვეყნის განათლება, მილოინ კერპთ-თაყვანის მცემელთა მოქრისტიანება. ამ ყმაწვილს ვილლიამ კარდი ერქვა. მან გადათარგმნა ინდოელთა ერთ-ერთ უმთავრეს ენაზედ მთელი ბიბლია, პირველმა ჩაუდგა სული, მისცა დასაწყისი მისსიონერულ მოღვაწეობას, რომელმაც შესამჩნევად შეამცირა საზიზღარი კერპთ-თაყვანის მცემლობა ინდოეთში, გიმმალოის მთებიდან მოწყებული კოორნინის კონცხამდე.

IV. ავიღოთ კიდევ ერთი მაგალითი. 70 წლის წინად ერთი პატარა ყმაწვილი, პატიოსანი ოჯახის შვილი, სკოლის კარებთან იდგა, და უცქერ შენთ'ნა, რომ რამდენიმე თვრალი კაცი უშწაულოდ და შესაბრალისად მიაორეკდენ სასაფლაოსკენ საკოდავი, ღარიბი ობლის გვამს. ათრეკდენ გზა-და-გზა, ქვებზე, მაგრამ არავინ არ იღებდა ხმას ამ გვარი მხეცური მოქმედების წინააღმდეგ. ამ სურათის დანახვაზე ყმაწვილმა გადასწყვიტა გულში მთელი თვისი სიცოცხლე შეეწირა ტანჯულთა გამოხსნისათვის, რამდენმედ მაინც შეემცირებინა მათი გულის ტკივილი, გამოსარჩლებოდა შეურაკცყოფილთ, დაჩაგრულთ. ამიერიდან «ზეგარდმო მადლით ცხებულად» და ამ ღვაწლისათვის მოვლენილად სთვლიდა თავის თავს, და კიდევაც სასიკეთელოდ ასარული ეს განზრახვა. ის ესარჩლებოდა, და იხსნიდა პატარა მუშებს—ბუტრების მწუხელებს უფროსებთა მხეცური მოპყრობისაგან. ზესკეალა აუტანელი ყოფა-მდგომარეობა ქარხნებ-მადნებში მომაშვიეთა. ის თითონ ნადეგებდა ბორროტებას, ქველი დროის რაინდებივით, რომ შეემუსრა იგი. მე მგონია ბევრი არ მოიპოვებიან ისეთები, რომლებსაც უფრო მეტი ღვაწლი და სამსახური გაეწოოს მამულისათვის, მაგრამ, როგორც ყველა ნიეიერსა და გამოჩენილ მამულის შვილებს სჯერთ, ისასაც ხშირად აბეღზებდენ და ცილს სწამებდენ, და გულს უკოდდა სულით სიობლე. ძნელი წარმოსადგენია უმჯობესი და უმშვენიერესი სანახავი იმაზე, როგორიც ამ ყმაწვილის დასაფლავება იყო ვესტმინსტერში. მდიდრული და მოელვარეა მეფეების და მდიდრების დასაფლავება, მაგრამ ეს პატივისცემა ხშირად პირმოთნეობაა; სულ სხვა იყო ის ადამიანის დასაფლავება. ბედმა არგუნა მთელი ერის ძაძით შემოსვა, ღარიბთა და გაჭირვებულთა სამადლობელი ღაღადი, მთ მიერ ლოცვა-კურთხევით ჩაშვება საფლავში. მას ერქვა ანტონ აშლეი, გერკოგა შეფუსბიური. მისი ადრიანტი (статуя) კათოლიკეთა მონასტრის დასავლეთის კიშკრებთან სდგას, თეთრი მრამორისაა და ზედ ორი სიტყვაა ამოჭრილი: «გიყვარდეს და ემსახურე», რაც მთელი შინაარსია ყველა ახალ-გაზდათა სარწმუნოებრივი მოვალეობისა.

მღ. ჩხაიძე.

საისტორიო მასალა

სოქართველოის

ძველი დროის თვალადასავალი.

გაგრძელება*)

აქა არღუნ ყეენისაგან მოწყვედა ყოველთა ზემოხსენებულთა ნინთა და მეფისა დაბარება და მეფისაგან წასვლა და თავისა დადება ერისათვის თვისისა.

გამოვიდა მცირე ხანი არს არღუნ ყეენ თა-თარი,
შურითია სავსე ბოროტი კაცთა ხოცვისთვის მზათ არი,
იძია შური მეფეზე დიმიტრი კარგი რათ არი,

*) იხილე „მწყემსი“ № 11, 1898 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლრძანა ნიონთა მოწყვედა ზაფხულ-ხვდეს გინა ზამთარი.
მოსწყვიდეს ყოველნი იონნი დიდი და მცირე ხმიანნი,
არღუნ განძგინა განდიდნა მრავალი ჰყოცა ზაანი,
მოგზავნა არღუნ წიგნ კაცი მე ვზიო გვირგვინიანი,
მოდი მეფეო მიხილე მეცა გაო კვალად სვიანი.
მეფეო გიწერ არღუნი არ იქმნე ყმითურთ ვნებულად,
მომნახე არა რას გერჩი იქმნები კვალად ქებულად,
არ მოხვალ უზამ შენს ქართველთ დიადსა ცეცხლსა გზებულად,
მეფეს უმძიმდა მუნ წასვლა ხედვიდა ნიონთ კლებულად.

აჰა მეფისაგან წასვლა წინაშე არღუნ ყეენისა და მოკობნა ყოველნი საქართველოისა დიდებულნი და მცირენი მღვდელ ეპისკოპოზ კათალიკოსითურთ და ბრძანა მე მიესცა თავ სასაკვდილ.ად ყეენსა და თქვენ ვეზენით მშვიდობით.

ბრძანა მეფემა შემოკრბეს ქართველთა დიდებულები,
მღვდელ-ბერნი არქიმანდრიტნი ეპისკოპოსნი ყრილები,
კათალიკოსი აბრაამ მას ადგა ღვთისა ჩდილები,
მოკრბნენ მოვიდნენ ყოველნი მეფისა განაზდილები.
მეფემ უბრძანა ისმინეთ ქართველნო ერთად ყრილნოდა,
ჩემნო მოყმენო ერთგულნო ჩემთანა შემოზდილნოდა,
მძლავრი ყეენი მიბარებს თუმც მფარავ ღვთისა ჩრდილოდა,
მაგრამ არ წავალ წავიდე რას მირჩევთ ვითა შეილნოდა.
რომ არ წავიდე მოგვადგეს ყეენი გარისხებული,
მოჰსწყდებით ბევრნი ბევრთანი მე ვითღა ვიქმნე შეებული,
ჰჯობს ერთი მოკვდეს ათასი არ იქმნენ ატირებული,
წავალ და თქვენთვის მოვკვდები მიწოდეთ თავადებული.
ჰკადრებთ ერთობით ერთგულნი შენ ქართველნი ყმანიდა,
ვიქმნეთ ჩვენ შენის ჭირისა ნაკვლად ვართ ყოველთვის მზანიდა,
ვსცეთ ხმალი ყეენს ლესულნი უტეოთ ლომის ხმანი და,
იყავ შენ გებდე მშვიდობით რამცა მიგჭირდა რანიდა.

მეფემან ბრძანა მართალსა ამბოხეთ-ურჩის მცდარია,
მან ვერა მიგდოს მე ხელთა ვერც ზაფხულ ვერც ზამთარია,
მაგრამ მოვიდეს დიადი თათართა ჯარი მკმარია,
მოსწყვიდონ ბევრი ათასი მერმე დამეცეს ზარია.
სჯობს ათასისა სიკვდილსა ერთი ჰკვდებოდეს და ცოტა,
წავალ თქვენ ჩგებდით მშვიდობით მართ ოდენ მარტო მოტა,
ყმათა ჩემთათვის მოვკვდები კისერს დავისო ხლმის კოტა,
დაშთნენ საყდარნი უქცევად თავი მჩანს ღვთისთვის იოტა.

ქათალიკოსი აბრაამ არს სასწაულთა მქნელია,
წადიო მეფეე წადიო საქმე ჰქმენ ვგართა ძველია,
თანა გაყვებოდე მოძღვარი არ არსო ეგე ძნელია,
თავსა დასდებდი ერისთვის იქმნე ღვთის შემნატრფელია.
მეფემან ძენი წარგზავნა დახიზნა დაცა-მალა-მან,
კახეთს მთიულეთს ოვსეთად და დედოფალმან სალამან,
გიორგი მცირე ახალ ყრმა ტაოს ციხესა მალამან,
უყვარელისა შეყვარა ჰყოს შიშმან დიდმან ძალამან.

აჰა მეფის დიმიტრის წასვლა წინაშე ყეენისა და აბრაამ კათალიკოსის თან გაყოლა რომელიცა იყო სასწაულთ მომქმედი.

ეტყოდა მეფე მშვიდობით ყმანო ჩემთანა ზრდილნოდა,
იყავით ჭგებდით კეთილად ვით ძმანო ვითა შეილნოდა,
ჰყოფდით მსახურეთ ჩემთა ძეთ მეფედ ჰყავთ ჩვენო ჩრდილნოდა,
მე მიგონებდით დიმიტრის ჩვენთვის თავ-დადებულნოდა.
მეფე წარვიდა წარცა-ჰყვა აბრაამ კათალიკოზი,
ქართველთა ჭმუნვა შეუდგათ ამრავლეს ცრემლთა სარაზი,
ვითა ტიროდენ ყოველნი აწ მოგვწყდა გულებთა ხაზი,
მეფე ჰხმობს ვერღა მიხილოთ ვერც ლომი ვერცა გავაზი.
ყეენმა ბრძანა დიმიტრი არ მოვა ჩემის შეთვლითა,
სიჭელ სარდალსა უბრძანა შენ წადი ჯარით და სვლითა,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მეფე შეიპყარ მომგვარე ვიხარო მისის მოკვლითა,
იარე ღამე დღენიდა მის წილ არ იქმნე ლუღითა.
სიქულ მყის წარმომპრთა ჯარითა მრავალ გვა-
რითა,
მეფესა გზასა ეთხუნია მყისავ შეექმნა შარითა,
შეიპყარა მეფე მოყმითურთ ექმნა მას დღენი დარითა,
მიჰგვარა ყეენს მეფეჰ შეეიპყარინ ძალითა.
აიკლეს მეფის ბარგები ჯორ-ცხენთა აკიდე-
ბული,
ᲰᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲐᲚᲔ ᲝᲥᲠᲘᲗ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐᲜ ᲐᲠᲜ ᲒᲐᲜᲒᲘᲐᲠ-
ᲒᲔᲑᲣᲚᲘ,
ᲛᲧᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲐᲠ ᲭᲧᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲰᲔ ᲓᲘᲚᲔᲒᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲬᲘᲡ ᲡᲬᲐᲠᲘᲡᲐ,
ᲝᲠᲒᲘᲡ ᲭᲘᲡ ᲡᲪᲚᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐᲡ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲔᲑᲣᲚᲘ.
აწრივ მეფე ყეენსან უტეკე რჯული ღვთისაო,
იქმნე ცოცხალ მშვიდობით მფლობელი შენის ყმი-
საო,
არა იქ თავსა მოგაკვეთენ გეცეს სიბნელე დღისაო,
მეფემან ოდეს ისმინა ჭყო მაშინ წირთ ქმა ხმისაო.
უთხრა მეფემან ისმინე ყეენო სახელ-დებულო,
მაჰმადის რჯულისა მჭირო ღორო ძაღლივით ყე-
ფულო,
. . . . . .
ᲑᲠᲫᲐᲜᲐ ᲛᲝᲡᲬᲘᲠᲘᲗ ᲛᲔᲤᲔᲡᲐ ᲔᲠᲗ ᲣᲢᲔᲙᲔᲕᲜᲘᲡᲐ ᲗᲐᲕᲘᲐ,
ᲕᲘᲗᲝᲠ ᲒᲐᲚᲐᲜᲫᲘᲐ ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐ ᲐᲜ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ ᲐᲕᲘᲐ,
ᲐᲬ ᲬᲐᲠᲘᲧᲕᲔᲜᲗᲝ ᲛᲝᲰᲙᲚᲘᲡᲐᲜ ᲔᲥᲪᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲜᲐᲕᲘᲐ,
ᲡᲪᲚᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲡᲘᲧᲕᲔᲓᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲝᲪᲧᲔᲡ ᲫᲐᲫᲐ
ᲨᲐᲕᲘᲐ.
რა სცნა მეფემან თავისა სიკვდილი სოფლითა
გასვლადა,
მოიხმო კათალიკოზი ახსარებითა გაწმდადა,
მიიღო ქრისტეს ხორც-სისხლი მყის მითი ეზიარადა,
მერმე მოჰკვეთეს თავიდა წმიდათა თანა ზიარადა.
თვესსა მარტისა თორმეტსა მეფე ღმერთთან არს
შვებულად,
დღესა დიდ-მარხვის შაბათსა გვამი უჩნს განშვენე-
ბულად,
მეათეს ჟამსა დღისასა იქმნა სამოთხეს ქებულად,
თუმცა იკითხავთ იწოდა დიმიტრი თავდადებულად.
მას ჟამსა იყო ცა-შვებით აჰერით გაბრწყინვე-
ბული,
არა ჩნდა არსად ღრუბელი არც წვიმით აელვებული,
როს მოკლეს მეფე დიმიტრი მზე იდგა ელვარებული,
როს მოკვდა მეფე მზე იქმნა ანგარივთ დაბნელებული.
მოესმათ ქართველთ ამბავი მეფეს მოსჭრესო
თავიო,
ᲐᲛᲘᲡᲗᲐ ᲛᲘᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲗᲥᲕᲔᲡ ᲐᲬ ᲓᲐᲒᲕᲔᲜᲗᲔᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲘᲡ
ᲠᲐ ᲔᲥᲛᲜᲐᲗ ᲣᲐᲢᲐᲠᲝᲜᲝᲗᲐ ᲜᲐᲠᲜᲘᲡ ᲨᲔᲣᲙᲠᲐᲗ ᲖᲐᲕᲘᲗ,
ᲛᲝᲒᲕᲙᲪᲣᲚ ᲫᲔ ᲗᲕᲘᲡᲘ ᲔᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲓᲐ ᲔᲠᲐ ᲕᲘᲜ
ᲒᲔᲥᲪᲜᲐᲗ
ᲐᲕᲘᲝᲜ.

ᲐᲥᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ
ᲕᲘᲜᲐᲜᲓᲒᲐᲜ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲫᲜᲘ ᲓᲐᲫᲐᲜᲔᲚᲣᲚ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ
ᲡᲮᲝᲑᲗᲕᲔᲡ ᲜᲐᲠᲜᲘᲡ ᲘᲛᲘᲠᲗᲐ ᲛᲔᲤᲔᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲤᲔᲓ.

ᲨᲔᲛᲝᲙᲠᲑᲐ ᲧᲝᲕᲚᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲝᲠᲒᲘᲔᲚᲗᲐ
ᲛᲙᲣᲗᲔᲑᲘ,
ᲕᲘᲜᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲔᲤᲔ ᲛᲝᲒᲕᲘᲙᲪᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲠᲗᲝ ᲓᲐᲠᲘᲓᲔᲒᲙᲘ-
ᲚᲔᲑᲘ,
ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲤᲘᲡᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲤᲐᲜᲢᲣᲚᲔᲑᲘ,
ᲕᲡᲗᲮᲝᲗᲕᲝᲗ ᲘᲛᲘᲠᲗᲐ ᲛᲔᲤᲔᲡᲐ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲔᲪᲘᲡᲗ ᲫᲘᲠᲘᲗ.
ᲓᲐᲕᲘᲡᲗᲝᲗ ᲛᲔᲤᲔᲓ ᲜᲐᲠᲜᲘᲡᲗᲐ ᲫᲔ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲛᲙᲝ-
ᲑᲘᲚᲘ,
ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲕᲘᲗᲮᲗᲕᲝᲗ ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲘᲗᲔ ᲐᲠᲡ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲗᲐᲒᲐᲜ
ᲨᲝᲑᲘᲚᲘ,
ᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ ᲘᲛᲘᲠᲔᲗᲘ ᲜᲐᲠᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲐᲐ ᲠᲩᲔᲗᲘ ᲡᲬᲠᲝ-
ᲑᲘᲚᲘ,
ᲒᲕᲘᲜᲝᲛᲪ ᲫᲔᲠ ᲨᲔᲜᲘᲓᲐ ᲐᲠᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲤᲔᲓ ᲮᲛᲝ-
ᲑᲘᲚᲘ.

ᲐᲥᲐ ᲜᲐᲠᲜᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲔᲤᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲖᲔᲓᲐ.

ᲜᲐᲠᲜᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲜᲔᲓᲐ ᲘᲐᲛᲐ ᲫᲘᲡᲐ ᲘᲮᲘᲚᲐᲗᲘ ᲡᲘᲐᲜᲐᲓ,
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲤᲔᲓ ᲘᲧᲠᲗᲮᲔᲑᲘ ᲐᲠᲐ ᲰᲧᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲕᲘ-
ᲐᲜᲐᲓ,
ᲛᲔᲤᲔᲑᲓᲐ ᲛᲢᲠᲘᲗᲐ ᲮᲛᲐᲚᲡ ᲪᲔᲛᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲒᲔᲑᲘ-
ᲐᲜᲐᲓ.

ᲐᲥᲐ ᲐᲠᲓᲣᲜ ᲧᲔᲔᲜᲘᲡ ᲮᲘᲙᲒᲘᲚᲘ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲡ-ᲐᲠᲓᲣᲜᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲐᲨᲕᲘᲗᲘᲡ ᲢᲐᲮ-
ᲢᲘᲡ ᲛᲭᲚᲐᲠᲔ,
ᲓᲐᲡᲘᲒᲔᲡ ᲧᲔᲔᲜᲐᲓ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲫᲛᲐ ᲥᲣᲗᲣᲗᲣᲛᲔ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲪᲜᲐᲠᲔ,
ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲘ ᲒᲚᲐᲮᲐᲗ ᲨᲔᲛᲬᲧᲐᲚᲔ ᲐᲠᲐ ᲫᲛᲘᲡᲐᲘᲡᲐᲗ ᲛᲝᲠᲗᲝᲛ-
ᲚᲐᲠᲔ,
ᲣᲑᲠᲫᲐᲜᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲜ ᲡᲐᲮᲣᲠᲩᲚᲔ ᲕᲘᲜ ᲘᲧᲝᲡ ᲜᲘᲗᲘᲗᲝᲛᲐ ᲛᲝ-
ᲚᲐᲠᲔ.
ᲛᲝᲰᲘᲦᲛ ᲒᲐᲡᲪᲐ ᲒᲚᲐᲮᲐᲯᲗᲐ ᲐᲐᲕᲡᲛ ᲩᲥᲠᲘᲕᲘ ᲛᲭᲚᲐᲠᲔ,
ᲕᲘᲜᲪᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲛᲔᲤᲘᲡᲐ ᲛᲭᲠᲐᲓ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲐᲥᲕᲜᲔᲚᲗᲐᲓ
ᲨᲣᲠᲘᲐ,
ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲮᲛᲝᲪᲐ ᲘᲒᲘᲜᲘ ᲓᲐᲮᲐᲯᲐ ᲕᲘᲗᲐ ᲡᲘᲠᲘᲐ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ ღმერთმა ნაცვალი გება ჰყო არუნდა სხუაღა ჭირია.

ვახტანგ მეფობს ქართლსა შინა მხიარულობს მორჩმულობითა,
იგიც გასცემს დია ხშირად ქართველნი ჰყუენს შემკულობითა,
მეტად ქართველთ შეუყვარდათ მსახურებენ ერთგულობითა,
აწ სოფელმან ვახტანგ მეფე ჰყო ჩვენულებრ მჭირველობითა.

დასნეულდა ვახტანგ მეფე ნარინისა ძე სენითა,
გარდიცვალა სამეფო ჰყო ტირილითა და ტყვებითა,
ამის მსგავნი ნარინ მეფეც იგიც იქმნა არ შვებითა,
ისიც მოკვდა იმერთა ჰხედათ სიხარული მოწყენითა.

ახალი ამბები და შენიშვნები.

როგორც უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგის ვ. კ. საბლერის მოწერილი ტელეგრამიდანა ჩანს, ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი სერაფიმი დაუნიშნავთ ორონეჟის ეპარქიის პირველ ქორ-ეპისკოპოსად, ხოლო ქვაბათ-ხევის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი კირონი—ალავერდის ეპისკოპოსად, ქართლის ეპარქიის მეორე ქორ-ეპისკოპოსად.

—

ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი არქიმანდრიტი გერმოგენი დანიშნულია ამავე სემინარიის რექტორად, ხოლო მის ადგილზე დანიშნულია ინსპექტორი ქუთაისის სასულიერო სემინარიისა ბერ-მონაზონი დიმიტრი (ერის კაცობაში აბაშიძე).

—

სასულიერო უწყებამ განმარტა, რომ კრებულის იმ წევრმა, რომელსაც ხვეა ეპარქიაში უნდა დროებით წასვლა, თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინოს მოწმობა, რომ კრებულის დანარჩენი წევრები ჰკისრულობენ იმის თანამდებობის აღსრულებას, და ბლაღოჩინის მოწმობა, რომ არაკეთილი საქმე არ აბრკოლებს იმის დროებით განთავისუფლებას სამსახურიდგანაო.

* * *

მცხეთის საპატრიარქო საკრებულო ტაძრის განმაახლებელი კამიტეტის თავმჯდომარემ ბატონ ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ, საქართველოს ეპსკოპოსმა, მიიღო მისი იმპერატორეობითი უმაღლესობის დიდი მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძისაგან შემდეგი ტელეგრამა:

წაიკითხე რა თქვენი მოწოდება, მე და ჩემი მეუღლა სიამოვნებით გვწერავთ 2,000 მანეთს განსაახლებელად მცხეთის საკრებულო ტაძრისა, ჩვენი უმეკლესი სიწმიდისა კაკაბსიაში,

ალექსანდრე მიხეილის ძე

როგორც კი ასეთი სასიხარულო ტელეგრამა იქმნა მიღებული, აღმაშენებელი კამიტეტის წევრებმა ერთ ხმით დადგინეს გადაიხადონ ტფილისის სიონის საკრებულო ტაძარში პარაკლისი კვირას, 19 ივლის მისი იმპერატორეობითი უმაღლესობის და მისი უავგუსტოესი ოჯახის სამშვიდობოდ.

—

ყოველ გვარი შესაალ-გასავლის და საკრებულო წიგნები, დაბადებულთა, მონათლულთა და გარდაცვალებულთა ამოწერილობის ბლაკები, ლოცვანები და სიმბრთა სჯულის სასწავლო წიგნი მსურველთ შეუძლიათ მოიპოვონ იმერეთის ეპარქიალური საეკლესიო ნივთების საწყობში.

—

უმართებელესმა სენატმა განმარტა, რომ არც ერთ ქალაქის საბჭოს არა აქვს უფლება ხმოსანთა საერთო კრებაზედ ლაპარაკი აღძრას ქალაქის მოურავის უკანონო მოქმედების შესახებ სამსახურის აღსრულების დროს. ეს უფლება მინიჭებული აქვს მხოლოდ გუბერნის უმაღლეს მთავრობასთა. ხმოსანთ, როდესაც შეჰნიშნავენ, [illegible] ქალაქის მოურავი არ იქცევა კანონისამებრ, შეუძლიანთ განსაკუთრებული მოხსენება შეადგინონ, რომელიც საბჭოს ჟურნალთან ერთად ადგილობრივ უმაღლეს მთავრობას უნდა წარედგინოს განსახილველად და მოხსენებათა განხილვის დროს გუბერნატორს შეუძლიან შესაფერი ღონის ძიება იღონოსო.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვკითხულობთ «ივერიაში» შემდეგ ამბავს:

მთავარს მეთვალყურეს მთელის რუსეთის სამრევლო სკოლებისას ბატონს შემიკინს შეუნიშნავს, რომ იმ სკოლებში, სადაც «Русское Слово»-ს ჰხმარობდნენ ისე, როგორც ამ წიგნის მეთოდიკა მოითხოვს, ჯეროვანი ნაყოფი მოუტანია სწავლებას რუსულის ენისას, ხოლო სადაც სხვანაირად უხმარნიათ ეს სახელმძღვანელო, იქ სუსტნი აღმოჩენილან მოსწავლენი რუსულს ენაში. ამის გამო ბატონს შემიკინს მოუხდენია განკარგულება, რომ „მეთოდიკა“ Русское Слово-სი გაეგზავნოს ყველა მასწავლებელს შესასწავლად. ამ განკარგულების თანახმად, ტფილისის საეპარქიო საბჭოს ამას წინად უყიდნია ასი ეგზემპლიარი მეთოდიკა და დაურიგებია ყველა მასწავლებლებისათვის, რომელნიც-კი კურსებზედ მოწვეულნი არიან და ვარჯიშობენ. გურია-სამეგრელოს სკოლებისათვისაც დაუბარებია ამ დღეებში ორმოც-და-ათი ცალი მეთოდიკა ადგილობრივს საეპარქიო საბჭოს.

***

იმავ გაზეთში ვკითხულობთ, რომ მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეპარხოსს ფლამიანეს განკარგულებით სოხნის საეკლესიო მუზეის კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქმნა ყოვლად-უსამღვდელოესი ეპისკოპოსი ლეონიდი და მუზეის გამგედ მ. ჯანაშვილი.

***

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი მარტვილს მობრძანდა 27 წარსულ ივნისს. 29 ივნისს მარტვილის მონასტერში წირა. წირვის შემდეგ ხალხს უქადაგა. ხალხი მრავალი შეიკრიბა. ძლიერ სასიამოთ დაურჩა ხალხს, დიდი ხნიდან აქ არსებული ჩვეულება—პეტრე-პავლობა დღეს მღვდელ-მთავრის მიერ წირვის გადახდა—წყეულსაც არ მოაკლდათ.

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ამ ზაფხულს, აქ თავისს საწინამძღვრო მარტვილის მონასტერში დაჰყოფს.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საგანგებო და საჩარგულო ცნობათა განყოფილება.

საეკლესიო კითხვების განმარტება.

კითხვა. ვინ უნდა აწარმოებდეს იმ შესავალ გასავლის წიგნს, რომელშიაც იწერება გვირგვინაკების და შენდობის ფურცლებიდამ შემოსული ფულები?

მაგვა. თუმცა უწმიდესი სინოდის უკანასკნელ 17 ივლისიდან 1871 წლისა № 45 შესახებ ეკკლესიის ანგარიშის კანონებისა, რომელიც დამტკიცებულია უწმიდესის სინოდის განჩინებით 24 სეკტემბრიდან და 8 ოქტომბრიდან 1876 წელსა, გვირგვინაკების და შენდობის ფურცლების შესავალ-გასავალის წიგნი უნდა წარმოებდეს ცალკე, ვინაიდგან ეს შესავალი არ ინიშნება ეკკლესიის საზოგადო შესავალ-გასავლის წიგნში, მაგრამ ამით ეკკლესიის სტაროსტა თავისუფალი არ არის, რომ ამ წიგნის ანგარიშს თვალ-ყური არ ადევნოს და არ აწარმოვოს იგი. სტაროსტა ვალდებულია აწარმოვოს ყოველივე ანგარიში ეკკლესიისა; მაშასადამე იგივეა ვალდებული აწარმოვოს შენდობის ფურცლების და გვირგვინაკების ანგარიშიც.

კითხვა. ხშირად მოხდება, რომ მღვდელს მოხსენებისათვის მთელი წლის განმავლობაში კვეთის დროს საშრომელს აძლევენ. ამ მოხსენებისათვის მიღებულ ფულებში აქვს თუ არა მონაწილეობა მედავითნეს ან მთავარ დიაკონს?

მაგვა. უწმიდესი სინოდის განგარგულებით ერთი კერძო თხოვნისა გამო ნაწილის ამოღებისათვის კვეთის დროს შემოსული ფულისგან მედავითნეს და მთავარ დიაკონს წილი არ ერგება.

კითხვა. როცა მღვდელი წესის აგების დროს მიცვალებულს წაუკითხავს შენდობის ფურცელს, ეს ფურცელი ხელში უნდა მიეცეს გარდაცვალებულს, თუ კუბოში უნდა ჩადვან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგვა. რიგი და კანონია და ჩვეულებაც ასეთია, რომ ამ ფურცლის წაკითხვის შემდეგ იგი გარდაცვალებულს უნდა მისცენ მარჯვენა ხელში. ეს ჩვეულება მეთერთმეტე საუკუნიდან არის შემოღებული და ასე უნდა ასრულებდენ ეხლაც.

კითხვა. შეიძლება თუ არა მეტი ფული გარდასახდევინოს მღვდელმა შენდობის ფურცელში და გვირგვინაკში?

მაგვა. უწმიდესი სინოდის ერთი განჩინებით ნაბრძანებია, რომ მღვდელი, რომელიც დადებულ ფასზე მეტს გარდაახდევინებს შენდობის ფურცლისა და გვირგვინაკისთვის გარდაცვალებულის პატრონს, მედავითნის ხარისხზე ჩამოიყვანება.

კითხვა. შეუძლია თუ არა მღვდელს ან მედავითნეს, რომ სხვა სარწმუნოების ეკკლესიაში შევიდეს?

მაგვა. მე 65 კანონი მოციქულთა აღუკრძალავს ეკკლესიის მოსამსახურეთა სხვა სარწმუნოების ეკკლესიაში შესვლის სალოცავად სხვა სარწმუნოების აღმსარებელთა თანა. მაგრამ სხვა მიზნით და ცნობის მოყვარეობისათვის სხვა სარწმუნოების აღმსარებელთა ეკკლესიებში შესვლის კი არ უკრძალავს. ამისთვის ზოგიერთები, სხვათა შორის, მიტროპოლიტები პლატონი და ლეონტი და მთავარ-ეპისკოპოსი ნიკანორი შედიოდენ არა თუ სხვა აღმსარებელთა ქრიტიანების ეკკლესიებში, არამედ ებრაელების სინაგოგაშიც, მაგრამ არა იმ დროს, როცა ამ ეკკლესიებში ლოცვა ანუ რაიმე ღვთის მსახურება სრულდებოდა.

კითხვა. რა სასჯელი ეკუთვნის მღვდელს, რომელიც ბანქოს თამაშობს ფულზედ?

მაგვა. მე 42 მოციქულთა კანონი მღვდელს, რომელიც კარტის თამაშს არ ანებებს თავს, უქადებს მღვდლობისაგან განკვეთას. მართალია მოციქულთა კანონებს სახეში ქონდა ძველი თამაშობა, რომელიც იმ დროს ძლიერ გავრცელებული იყო, მაგრამ დღეს ძველით თამაშობის მაგიერ შემოღებულია ბანქო. თუ რომელიმე მოძღვარმა დაიიწყა თავის ღირსება, მოვლეობა და თავისი წმიდა სამსახური და მიეცა ბანქოს თამაშობას ერთად სხვა ერის კაცთანა, იგი ღირსია სასჯელისა. ეტვს გარეშეა, რომ მოციქულების დროს ყოფილიყო შემოღებული ბანქოს თამაშობა—ეს უბედური გამოგონება ვითომ კეთილშობილობის უსაქმობის, ბიწიერების და მოწყენილობის გამქარვებელი, სასტიკად იქმნებოდა აღკრძალული ისე, როგორც ძველებით თამაშობა...

განცხადებანი.

იმერეთის საეპარქიო წმინდა სინოდის ქარხნის კომიტეტი ამით აცხადებს საზოგადოთოდ, რომ იგი (კომიტეტი) ეიდულობს ცვილ-სანთელს ბერეველ ხარისხისას ოცდაორ მანეთად და ათ შაურად, ხოლო უფრო მდარეს —ოცდა ჯუჯეიანს—ნაკლებ ფასად. გამსეიდველთ შეუძლიათ მოიტანონ თვისი საქონელი ქალაქ ქუთაისში, წმინდა სინოდის სწეობაში, მთავარ-ანგელოზის სობოროს გვერდით. მიღება საქონლისა წარმოებს ეოველ დღე, დილის 9 საათიდან—12 საათამდის.

ქუთაისის სასულიერო სემინარიის სამმართველოსაგან

დამატებითი და მისაღები ეგზამენები სემინარიის ზემოკლასებში დაიწყებიან ამ წელს 20 აგვისტოდან, ხოლო ეგზამენები პირველ კლასში შემსვლელთათვის დაიწყება 24 აგვისტოდან.

რექტორი სემინარიისა არხიმანდრიტი ბენიამენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისყიდებიან

დეკანოზი დაგით დამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამაერცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიში, ქუთაისში—«მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში, ძვ. ჯალამეგების, და ვ. ბეკანურშვილის წიგნების მაღაზიებში და ყვირილაში—თვით გამომცემელთან.

1. **სასეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.**

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უმთავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლ-ს ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვის სრულს თვეთ-მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართე. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყდით 50 კ. და უყდოთ . . . 40 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და ვრცელი პანაშვიდისა, ფასი . . . 10 კ.
3. Oცხ-ლთა და გარდაცვ-ლებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 30—
4. ძონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყდოთ 40 კ. კარგი ყდით . . . 60 »
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი სუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . . 5 »

2. **სასწავლო და სასალმშენებელნი წიგნები.**

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, რომელიც უწმ. სინოდ-საგან მოწონებულია ოგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასწყის სკოლებში—ფასი . 30 კ.
2. იგივე დარიგება საღმრთო სჯულის სწავლაზედ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლებ-ს ნიშნებით—ფასი . . . 40 კ.
3. დაწყებითი გაკეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15—
4. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . 40 კ.
5. მღვდელთთვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო ს-ხელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . . 20 კ.
6. საქართველოს საეკლესიო ისტორია ფასი 45 კ.

3. **საეკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.**

1. ახალა კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართული კეკვსის საეკმო რჩევისაგან—ფასი . . . 1 მ.
2. დარიგება მხეველობა დაცვასა და თეალების მოვლაზე, ფასი . . . 10—

4. **შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი.**

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი. . . 25 კ.
2. მელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . 25 კ.
   იგივე რუსულ ენაზე . . . 20 »
3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
4. ᲔᲗᲝᲐᲞᲐ-ᲛᲝᲬ. ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ.—ფასი . 5 კ.
   იგივე რუსულ ენაზე . . . 10 კ.
5. ᲗᲐᲠᲯᲘᲡ მონასტერი, ფასი . . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.

5. **საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.**

1. ღვთის-მშობლის დამაფება, სურათით . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . 2—
3. ამაღლება პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვრისა, სურათით . . . 2—
4. შობა უფლისა . . . . 2 კ.
5. მიცვალა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
6. ᲮᲐᲠᲑᲐ ᲛᲘᲬᲝᲚᲐᲓ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ-ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡᲐ 2—
7. ᲑᲜᲝᲒᲐ სურათით—ფასი . . . 2—
8. ᲐᲚᲓᲐᲒᲛᲐ სურათით—ფასი . . 2—
9. მიძინება ყოველად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—
10. ხელოუქნელი ხატის ისტორია . . . 3 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკლესიისა, შესანიშნავნი საქართველოს მეფენი და დედოფალნი:

1. წმიდა მოწამე რაჟდენი, სურათითი, ფასი . 5 კ.
2. წმ. ნინო ქართველი განმანათლებელი . 2—
3. მეფე დავით მესამე ალაშვრებელი . 5—
4. თამარ მეფე, სურათით . 5—
5. გიორგი მთაწმიდელი . 10—
6. იოანენე ზედაზნელი . 5—
7. შუშანიკი . 3—
8. ქეთევან დედოფალი . 2—
9. არჩილ და ლეონასანი . 5—
10. მეფე დავით III ალმაშენებელი . 5—
11. იგივე ერეკლე . 15 »

7. რელიგიური და ზნეობრივი შინარსის წიგნები და საუბრები:

1. ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲘᲓᲘᲡ-ᲛᲝᲜᲐᲠᲘᲡ: ᲑᲐᲡᲘᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ, ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘ ᲦᲕᲗᲘᲡ-ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲝᲐᲜᲔᲜ ᲛᲐᲠᲬᲚᲘᲡᲘᲠᲘ, სურათებით — ფასი 5—
2. როგორ უნდა ემარხულობდეთ — ფასი . 3—
3. ᲘᲔᲠᲝᲜᲘᲛᲘᲡ ᲬᲛ. ᲛᲝᲪ. ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲚᲐᲒᲘᲜᲘᲡᲐ . 2—
4. ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲛᲘᲗ ᲐᲯᲐᲠᲘᲡ, ფასი . 5—
5. სიკეთილი მარილისა, ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲞᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲔᲡᲚᲘᲡ ᲬᲘᲗᲘᲚᲘ . 5—
6. ᲬᲛ. ᲛᲝᲛᲔᲪᲘᲠᲘᲡᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲤᲝᲡᲜᲐᲓᲐᲛ. საუბარს შესწავლია იესო ქრისტეზე . 3 |
7. შეილების ზოგიერთა მშობელთადმი . 3—
8. მშობლების ზოგიერთა შვილთადმი . 3—
9. ᲘᲔᲜ ᲐᲠᲘᲐᲜᲔ ᲩᲘᲗᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲢᲠᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲛᲖᲘᲚᲝᲗ ᲛᲐᲗ . 3—
10. ᲘᲣᲜᲘᲡᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲜᲯᲘᲡᲐ ᲪᲐᲗᲐᲛᲨᲐᲕᲐ . 3—
11. საუბარი ღვთის სიტყვაზე . 3—
12. — ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡᲐᲛᲘ . 3—
13. სამგვარი სიკვდილი . 5 »

8. მოთხრობანი დაბადებიდან.

1. ᲛᲔᲝᲗᲔ ᲡᲘᲚᲐᲛᲘᲡ-ᲒᲠᲘᲚᲘᲡ სურათით — ფ. 5—
2. ᲛᲝᲗᲮᲠᲘᲐ (მოთხრობა დაბადებიდან) სურ. 5—
3. სიბრძნე ᲘᲔᲡᲣᲡ ძისა ᲖᲘᲠᲐᲥᲘᲡᲐ, სურათით. 5—
4. იოსები . 5—

ᲮᲐᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲘᲡ.

ᲛᲘᲗᲘᲛᲔᲜᲖᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ-ᲘᲝᲗᲘᲡ-ᲞᲘᲡᲐᲜᲘᲡ-ᲮᲐᲢᲘᲡ ᲤᲘᲪᲘᲠᲗᲘ ᲡᲐᲛ-ᲝᲗᲮᲘ ᲒᲝᲜᲯᲘᲐᲜᲘ ფასი 5—10 კ. ᲮᲐᲢᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ: ᲛᲐᲚᲮᲐᲖᲘᲐ, ᲔᲒᲘᲠᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡ-ᲛᲨᲕᲔᲚᲘᲡ, ᲬᲛᲘᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ, ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲗᲐᲜ, ᲞᲘᲠᲔᲚᲘ ᲬᲛᲘᲓᲝᲑᲘᲗᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲗ ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘᲗᲐ ᲓᲘᲪᲮᲡᲬᲣᲚᲔᲑᲐ. ᲔᲜᲘᲪ ᲓᲐᲘᲜᲐᲠᲒᲘᲡ ᲮᲐᲢᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲜᲐᲬᲚᲘᲡ ᲝᲚᲘᲐᲜᲘ, ᲐᲛᲐᲨᲘ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲧᲣᲔᲚᲬᲐᲠᲘ ᲬᲛᲘᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘᲗᲐ ᲓᲘᲪᲮᲡᲬᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲐ ᲜᲐᲬᲚᲘᲡ ᲝᲚᲘᲐᲜᲘ, ᲐᲛᲐᲨᲘ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲧᲣᲔᲚᲬᲐᲠᲘ ᲬᲛᲘᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ-ᲛᲨᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ 6+5 ᲒᲝᲯᲘᲐᲜᲘ ფასი 5 კ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲔᲒᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲬᲛ. ᲓᲐ ᲜᲘᲜᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ-ᲛᲨᲕᲔᲚᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲞᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲡ 6+5 ᲒᲝᲯᲘᲐᲜᲘ ფასი 5 კ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲔᲒᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲬᲛ. ᲓᲐ ᲜᲘᲜᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ-ᲛᲨᲕᲔᲚᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲞᲔᲡᲘᲡᲐ ფ. თითოსი 5 კ.

ᲛᲘᲗᲘᲛᲔᲜᲖᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲔᲚᲘᲡ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲒᲣᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲮᲐᲢᲘᲡ ᲤᲠᲬᲐᲮᲣᲚᲘᲡᲐᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲡ, ᲗᲐᲛᲐᲠᲘᲡᲐ, ᲔᲚᲔᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡᲐ, ფასი თით� 5 კ. ᲔᲠᲔᲙᲘ ᲐᲡᲚᲘᲡ ᲓᲔᲑᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲓᲔᲡ ᲤᲣᲚᲗᲖᲔ, ᲛᲐᲡ ᲓᲐᲒᲔᲬᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲘᲗᲮᲝᲕᲗᲐ ᲡᲐᲛ ᲛᲐᲜᲔᲠᲐᲗ. ᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲯᲐᲜᲘ ᲮᲐᲢᲘᲡ. ᲘᲛᲘᲓᲘᲗᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲜᲘ, ფასი 40 კ.

11. მხატვრობანი სასულიერო და საერო მოღვაწეთა.

1. ᲗᲝᲗᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ . 25 კ.
2. ᲯᲐᲯᲐ ᲬᲘᲤᲘᲠᲘᲫᲔ . 25 კ.
3. თამარ მეფე . 25 კ

ᲛᲘᲗᲘᲛᲔᲜᲖᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲔᲚᲘᲡ-ᲒᲐᲡᲘᲐᲚᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲚᲐᲣᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲠᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ თითოეულისა 1 კ.

ᲔᲜᲘᲪ ᲩᲘᲗᲘ ᲔᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲠᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲜᲐᲬᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲗ ᲗᲣᲗᲘᲜᲘᲡ, ᲛᲐᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗᲘ ᲓᲐᲘᲗᲮᲝᲕᲗᲐ 20 კ. ᲔᲠᲔᲙᲘ ᲝᲠ ᲙᲐᲛᲯᲘᲐᲜᲘ ᲬᲘᲜᲓᲐᲒᲘᲯᲘᲡ ᲓᲐᲘᲜᲐᲠᲒᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲜᲐᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲘ ᲪᲐᲚᲘᲡᲐ, ᲘᲡ ᲤᲣᲢᲘᲗᲘ ᲓᲐᲯᲐᲛᲘᲗᲘᲡ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲡ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ᲡᲐᲚᲔᲛᲘᲢᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲐ: სოფლის სახალხო სკოლების მასწავლებელთა აღმზრდელობითი მნიშვნელობა. სიკეკლუცისა სიძველთა საკვირო.—საქედგოგიო კურსების საქმიანობა.—დავა თავად გურიელებსა კ. ფიფთან.—ოყაჯის ᲙᲠᲐ, მამაკაცი და დედაკაცი.—საქართველოს ძველი ეროვნის თავ-გადასავალი, ᲮᲐᲜᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.

ᲡᲐᲮᲔᲠᲘᲡ და **ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ** ცნობათა განყოფილება: საყვედ კითხვების განმარტება

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ დეკ. Დ. ᲚᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 25 іюля 1898 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елѣевъ.

Типог. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хананошвилыхъ, на Нѣмецкой ул.